

სახელმწიფო ტრანსპორტი – საქართველოს სოციალური განვითარების

დავით ჭიშკარიანი

კრებულის შემდგენელი და რედაქტორი

შესავალი

კრებული, რომელსაც ახლა მკითხველი ეცნობა, საქართველოს უახლესი ისტორიის რთულ, კომპლექსურ და არაერთგვაროვან პერიოდს – საბჭოთა ტოტალიტარულ წარსულს ეხება. სტატიის ავტორები სხვადასხვა სფეროს მკვლევრები არიან და შესაბამისად, კრებული აერთიანებს ისტორიკობის, ფილოლოგების, ანთროპოლოგების, ფიქტოლოგებისა და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლების მოსაზრებებს. მათ არ აქვთ ერთიანი კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და აკადემიური იდენტობა. თითოეული მათგანი განსხვავებული პერსპექტივით და მიღვომით ცდილობს გააანალიზოს საბჭოთა წარსული და ჩამოაყალიბოს საკუთარი ხედვა წარსულის თუ წარსულის მემკვიდრეობის მიმართ.

დავით დარჩიაშვილის მოსაზრებით, საბჭოთა ისტორიის კვლევა, შეოლოდ ისტორიკოსთა ცნობისმოყვარეობის და კვამაყოფილებისთვის ვერ იქნება საკმარისი და მას გაცილებით დიდი სოციალური და პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია. შემოთავაზებული მსჯელობით თანამედროვე საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური რეალობის შეცნობისათვის წარსულის შესწავლა დიაქტონულ ჭრილში უნდა მოხდეს. ავტორი „გათელილი გზის სინდრომისა“ და პარეტოს თეორიის გამოყენებით, ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ადამიანები ხშირად ხდებიან ურთიერთობათა, ტრანზაქტიათა გამძლე ქარგების შსხვერპლინი, კონკრეტულ შემთხვევაში კი საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ელიტებს განიხილავს. მალხაზ სალდაძე ერთგვარად აგრძელებს და ავრცობს დარჩიაშვილის მოსაზრებებს. ის სტალინის პოლიტიკური სხეულის ფენომენის მაგალითს განიხილავს, როგორც კომპლექსურ მოვლენას, რომელიც მაქებართა და გამკრიტიკებელთა ერთობას მოიცავს. ავტორი აანალიზებს პოსტ-საბჭოთა საზოგადოებებისა და მათი ელიტების წინაშე არსებულ ერთ-ერთ დილემას „განსაზღვრონ თუ რა ლირებულებით ჩარჩოში მოაქციონ სტალინის, როგორც პოლიტიკური სხეულის შესახებ თხრობა და შესაბამისად ჩამოაყალიბონ სულიერი და მორალური ორიენტირები“. საქართველოში საბჭოთა წარსულის რეპრეზენტაციის ყველაზე დიდ, ინსტიტუციურ სივრცეს საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი წარმოადგენს. ანთროპოლოგი ლაურა მათიც მისი სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობისას 12 თვის განმავლობაში ატარებდა კვლევას აღნიშნულ მუზეუმში. ის იზიარებს მოსაზრებას, რომ მეხსიერების ფორმირება პოლიტიკური აქტია, ხოლო ამის განხორციელებაში მუზეუმებს საკუთარი წვლილი შეაქვთ. ის საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმსაც, თავისი თავისებურებებით, მაგრამ კონკრეტული პოლიტიკური პროექტის გამტარებლად მიიჩნევს და საკუთარ ემპირიულ დაკვირვებებს გვიზიარებს.

დავით ჭავარიანი

კრებულის მეორე ბლოკი უფრო კონკრეტულ საკითხებს მოიცავს და მიკრო პერსპექტივით აჩვენებს საბჭოთა რეპრესიების შედეგად გამოწვეულ ტრამვებს საქართველოს რეალობაში, რომელიც ათწლეულებია საზოგადოებაში არსებობს. ჭანა ჭავახიშვილმა შეისწავლა ტოტალიტარულ წარსულთან დაკავშირებული მატრავმირებელი გამოცდილების ზეგავლენა საქართველოს მოსახლეობაზე და გამოყო ინდივიდუალურ, ოჯახურ და სოციალურ დონეზე. მისი ანალიზი ეყრდნობა ტოტალიტარულ რეპრესიებთან დაკავშირებული ტრავმის თაობიდან თაობაში გადაცემის კვლევას, რომელიც განხორციელდა 2011-2018 წლებში (ჭავახიშვილი 2018). რეპრესირებულთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები. რეპრესირებულთა ოჯახის წევრებში არსებული ნარატივი შეისწავლა ჩვენმა შემდეგმა ავტორმა – ივეტა გოგავამ. ის ეცადა გაეანალიზებინა სტალინური ტერორის (1936-1938) დროს რეპრესირებული ოჯახების წარატივებში არსებული კულტურული ტრავმა და მათი გავლენა რეპრესირებული ოჯახების ცნობიერებაზე. ის სტატიაში განიხილავს ქართულ საზოგადოებაში არსებულ ტრამვის მახასიათებლებს.

კრებულში, ორი სტატიის ავტორი ეყრდნობა ორიგანალურ წერილობით წყაროებს და მათი ანალიზის საშუალებით ახალი პარადიგმა შემოაქვთ საქართველოში ტოტალიტარული წარსულის გააზრებისთვის. ფილოთოლოგმა, რუსუდან კობახიძემ, გაანალიზა ენა და ტოტალიტარული რეჟიმი. მან შეისწავლა 1937 წლის საქართველოს სსრ-ს უმთავრესი ბეჭდური მედია – გაზეთი კომუნისტი. ის საკუთარ წამრომში აჩვენებს, თუ „როგორ იყენებდა საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი ენის გამომხატველობით პოტენციალს ტერორის ხელშესახურობად და როგორ იქმნებოდა ახალი ენობრივი ერთეულები იდეოლოგიური დისკურსის გამოსახატავად.“ ოლივერ რაისნერმა კი სრულიად სხვა ტიპის წერილობითი წყარო – რეპრესირებული, გადასახლებული მიხეილ მგალობლიშვილის მოგონებები შეისწავლა, რომელიც 1972 წლს დაიწერა, მის შრომა-გასწორებით კოლონიიდან განთავისუფლებიდან 25 წლის შემდეგ და მხოლოდ 1990 წლს გამოიცა წიგნად. პროფესორი რაისნერი ცდილობს გაარკვიოს თუ რა სპეციფიკური მოტივაცია ჰქონდა მიხეილ მგალობლიშვილს ჩუმად დაეწერა მსგავსი მოგონებები.

ინაკლი ხვადაგიანმა დეტალურად შეისწავლა რეპრესირებულ ადამიანთა ერთი მცირე ჭავუთი, რომელიც გაერთიანებულები იყვნენ „საქართველოს ძველ ბოლშევიკთა საზოგადოებაში“. თავდაპირველად აღნიშნული ორგანიზაციის წევრობა პრესტიული იყო და პრივილეგირებულიც. თუმცა რეპრესიები მათაც შეხეხ. შემუშავებული სტატისტიკა და დიაგრამები მკოთველს აძლევს საშუალებას თვალი მიადევნოს აღნიშნული საზოგადოების წევრთა მიმართ მასობრივ ტერორს. რეპრესიებში მონაწილე კიდევ ერთი ადამიანის შესახებ წერს დავით ჭავარიანი. ამ შემთხვევაში კი ანალიზი არა მსხვერპლს, არამედ შინასახომის თანამშრომელს ეხება, რომელიც თავად მონაწილეობდა რეპრესიებში. ავტორი, ერთი ჩეკისტის, ვარლამ ადიშარიას მაგალითზე განიხილავს საქართველოს შინასახომში არსებულ „ძალადობის ეკოსისტემას“, მის თავისებურებებს და პატრონ-კლიენტურ ურთიერთობებს.

აღნიშნული კრებულის გამოცემა ვერ მოხერხდებოდა კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერის გარეშე, რისთვისაც მათ განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით.